

## ცვლილება სესხის ხელშეკრულებაში

13/09/2017

1. [www.vivus.ge](http://www.vivus.ge)-ს ვებ გვერდზე განთავსებულ ხელშეკრულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები

1.2. შეიცვალოს ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“7.2. ხელშეკრულებაზე დათანხმებით მსესხებელი ეთანხმება, რომ მისთვის სათანადო მომსახურების გაწევის მიზნით, გამსესხებლის საოპერაციო საქმიანობის, სესხის დაბრუნების/ამოღების მიზნებისათვის შესაძლოა მსესხებლის პირადი მონაცემები, გარდა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან მოწოდებული ინფორმაციისა, გამჟღავნებული იქნას გამსესხებლის შიდა პერსონალთან შეზღუდვის გარეშე, მათ შორის საზღვარგარეთის პერსონალთან, სათაო კომპანიასა და 4ფინანსის ჯგუფში შემავალ კომპანიებთან (შპს „კრედიტ მენეჯმენტი“ სს „4finance“ „4finance holding“ „4finance Group“ და სხვ.) ამასთან, გამსესხებელი უფლებამოსილია, მსესხებლის შესახებ ინფორმაცია გარდა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან მოწოდებული ინფორმაციისა, გადასცეს „4ფინანსის“ ჯგუფში შემავალ კომპანიებს მათი საოპერაციო საქმიანობის სრულყოფის, მათ მიერ სესხის გაცემაზე ადეკვატური გადაწყვეტილების მიღების, კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების, სესხის დაბრუნების, მსესხებლის გადახდისუნარიანობის დადგენის მიზნებისთვის იმ მოცულობით, რაც აუცილებელი იქნება ამ პუნქტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.“

1.2. შეიცვალოს ხელშეკრულების 13-ე მუხლის 13.6 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13.6 იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელს შემოსავალი გააჩნია ლარისგან განსხვავებულ ვალუტაში, სასესხო ვალდებულების სრულად შესრულებამდე ლარის გამყარების შემთხვევაში, მსესხებლის ფინანსური ტვირთი შესაძლოა გაიზარდოს. აღნიშნულს სათანადოდ აცნობიერებს მომხმარებელი და ინფორმირებულია.“

2. ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.